



სსიპ შოთა რუსთაველი ს  
საქართველოს ეროვნული  
სამეცნიერო ფონდი

21 მაისი 2024

ქ. თბილისი

გენერალური დირექტორის

ბრძანება № 67

„2024 წლის საერთაშორისო სასწავლო ოლიმპიადებისთვის საქართველოს ნაკრები გუნდების წევრების შერჩევის მიზნით ჩატარებულ შესარჩევ ტურებზე მიღებული შეფასებისა და პროცედურული დარღვევების გასაჩივრებისა და განხილვის მიზნით სააპელაციო განაცხადის ფორმის დამტკიცებისა და საგნობრივი საპრეტენზიო კომისიების შექმნის შესახებ“ სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2024 წლის 30 აპრილის N57 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე და ფიზიკის ნაკრები გუნდის ლიდერის განცხადების (N548089, 20/05/2024) შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება „2024 წლის საერთაშორისო სასწავლო ოლიმპიადებისთვის საქართველოს ნაკრები გუნდების წევრების შერჩევის მიზნით ჩატარებულ შესარჩევ ტურებზე მიღებული შეფასებისა და პროცედურული დარღვევების გასაჩივრებისა და განხილვის მიზნით სააპელაციო განაცხადის ფორმის დამტკიცებისა და საგნობრივი საპრეტენზიო კომისიების შექმნის შესახებ“ სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2024 წლის 30 აპრილის N57 ბრძანების მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტში და აღნიშნული ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ე) ფიზიკის საგნობრივი საპრეტენზიო კომისია:

ე.ა. ალექსანდრე თევზაძე - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის რექტორი (კომისიის თავმჯდომარე);

ე.ბ. ნიკოლოზ მალცევი - ბაკალავრიატის სტუდენტი;

ე.გ. ირაკლი გულუა - ბაკალავრიატის სტუდენტი;

ე.დ. მარიამ იაშვილი - ფონდის ადმინისტრაციული და იურიდიული დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, კომისიის მდივანი (ხმის უფლების გარეშე.“

3. დაევალოს სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის (შემდგომში - ფონდი) მეცნიერების პოპულარიზაციის სამსახურს წინამდებარე ბრძანების ფონდის ვებგვერდზე გამოქვეყნება;

4. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დავით აღმაშენებლის ხეივანი №64).

**თეიმურაზ დოჭვირი**

*თ. დოჭვირი*